საკრებულოს ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის სხდომის

ოქმი #30

2019 წ. 10 სექტემბერი 11.00 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ო.გრიგოლია, ლ.დარახველიძე
ლ. არველაძე, ა.ხუჯაძე,
ი. ჯიშკარიანი, ნ.რუხაძე, ფ.ინჯია

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი ანდრია ბასილაია, ქ.თბილისის ღამის ეკონომიკის განვითარების პროექტის ხელმძღვანელი სერგი გვარჯალაძე და თანამშრომელი გიორგი თაბუკაშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე ნ.ლაცაბიძე

სხდომის თავმჯდომარე ნ.ლაცაბიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქ.თბილისის ღამის ეკონომიკის ფარგლებში მიმდინარე პროექტების შესახებ
2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიმდინარე პროექტების შესახებ

1. მოისმინეს:

ქ.თბილისის ღამის ეკონომიკის განვითარების ხელმძღვანელმა სერგი გვარჯალაძემ კომისიის წევრებს პროექტის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა, განხორციელებულ და დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრა და სამომავლო გეგმები მიმოიხილა.

გვარჯალაძემ აღნიშნა, რომ აქტიურად მიმდინარეობს სხვადასხვა დიდი ქალაქების გამოცდილების შეწავლა და მათი მორგება თბილისისთვის. აღინიშნა, რომ უბრალოდ კოპირება არ გამოვა, რადგან თბილისი არც ერთ სხვა ქალაქს არ ჰგავს.

რაც შეეხება პრობლემებს, ესენია:

- ტრანსპორტი, ინფრასტრუქტურა, კომუნიკაციები
- ხმაურის რეგულირება
- უსაფრთხოების უზრუნველყოფა
- კულტურული აქტივობები
- უბნების რეგენერაცია
- საზოგადოებასთან კომუნიკაცია

პრეზენტაციის შემდეგ, საკრებულოს წევრებმა თბილისის ღამის ეკონომიკის განვითარების ხელმძღვანელთან ერთად წარმოდგენილი საკითხების ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებაზე იმსჯელეს და ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელებაზე შეთანხმდნენ (პრეზენტაცია თან ერთვის).

2. მოისმინეს:

ეკონომიკური განვიარების საქალაქო სამსახურის მიმდინარე პროექტების შესახებ ამავე სამსახურის უფროსმა ანდრია ბასილაიამ ისაუბრა.

ბიზნესის განვითარების მიმართულება:

1. კვების ფესტივალი - „დააგემოვნე თბილისის ქუჩებში“ (პერიოდი - 14-15 სექტემბერი)

ღონისძიების მიზანია მეწარმეობის ხელშეწყობა და ადგილობრივი მეწარმეების პოპულარიზაცია. ღონისძიება „დააგემოვნე თბილისის ქუჩებში“ ერთ ლოკაციაზე (ორბელიანის მოედანი) მოუყრის თავს დამწყებ სწრაფი კვების ობიექტებს, შეფ-მზარეულებს, ლუდის მწარმოებელ კომპანიებს, ქალ-მეღვინეებს და გურმანებს.

2. გამოფენა-გაყიდვა - „თბილისური ბაზარი“ (პერიოდი - თბილისობა; მომდევნო პერიოდი - ნოემბერი/დეკემბერი)

პროექტის მიზანს წარმოადგენს ადგილობრივი მეწარმეობის ხელშეწყობა და თბილისში მოღვაწე მიკრო და მცირე მეწარმეების პროდუქციის პოპულარიზაცია.

3. ჰაკათონი - „თბილისი შენი ქალაქია“ (პერიოდი - ოქტომბერი/ნოემბერი)

ჰაკათონი არის ღონისძიება, სადაც ინოვაციური და კრეატიული იდეების მქონე მონაწილე გუნდები, შეზღუდულ დროში ქმნიან პროდუქტს ან მის პროტოტიპს. ღონისძიების

ფარგლებში მოწვეული სპიკერები დამსწრე საზოგადოებასა და მონაწილეებს, გაუზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, რომლის შემდეგაც გუნდები სამუშაოდ გამოყოფილ დროში იმუშავებენ, თბილისზე მორგებული, ურბანული განვითარების თემატიკასთან დაკავშირებული ელემენტის შექმნაზე, რომელიც გარკვეულ წვლილს შეიტანს ქალაქის ინოვაციურ განვითარებაში.

ტურიზმის მიმართულება:

1. თემატური რუკები - მიმდინარე ტენდერი
   - Wine, not? - თბილისის ღვინის ბარების რუკა.
   - Shop, till you drop - თბილისის კონცეპტუალური მაღაზიების რუკა (ქართველი დიზაინერების).
   - Insta Walk - თბილისის ინსტაგრამული ადგილების რუკა
   - Street Art - თბილისის street art (ქუჩის მხატვრობების) რუკა
2. ბილიკების მარკირება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა - მიმდინარეობს ტექნიკური დავალების მომზადება
   - უძოს მონასტერი - კუს ტბა
   - ლისის ტბის მარშრუტი
   - ვერეს ხეობის მარშრუტი (თბილისი - ბეთანიის მონასტერი)
3. მასშტაბური სარეკლამო/საპრომოციო კამპანია - Wanderlust Media - მიმდინარეობს პირდაპირი შესყიდვის პროცედურებისთვის ტექნიკური დოკუმენტების მომზადება კამპანია გულისხმობს თბილისის ტურისტულ ფრომოუშენს და მასშტაბურ კამპანიას ევროპის ბაზრებისათვის. Wanderlust Media არის მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი სამოგზაურო პლატფორმა. 2019-2020 წლების პერიოდში პლატფორმაზე განთავსდება რამდენიმე online სტატია, ბეჭდური სტატია/editorial რომელსაც თავად Wanderlust Travel-ის დამფუძნებელი და რედაქტორი მოამზადებს და ასევე 12 გვერდიანი ჩანართი, რომელიც Wanderlust Media-ს ნოემბრის ნომერში დახვდება მკითხველს.
4. WTM- მიმდინარეობს მზადება და შეხვედრების ჩანიშვნა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ტურისტული გამოფენისათვის, სადაც თბილისის მერია წარმოდგენილი იქნება შესაბამისი სტენდით. ღონისძიება გაიმართება ლონდონში, ნოემბერში.
5. IBTM - მიმდინარეობს მზადება მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური MICE ღონისძებისათვის, სადაც თბილისი წარმოდგენილი იქნება შესაბამისი სტენდით და საპრომოციო მასალებით. ღონისძიება გაიმართება ბარსელონაში, ნოემბერში.
6. Guide Book - მიმდინარეობს თბილისის ტურისტული კატალოგის კონტენტის მომზადება, დარჩენილია დიზაინის ნაწილი. დაიბეჭდება უახლოეს პერიოდში
7. FAIR - მიმდინარეობს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ჟურნალის კონტენტზე მუშაობა, ფოტოგრაფი და ჟურნალისტი იმყოფებიან თბილისში. დეკემბრის გამოცემა მთლიანად ეთმობა თბილისს და იქნება 150 გვერდზე მეტი მოცულობის. ძირითადად მოხდება თბილისის პოპულარიზაცია გასტრონომიის,

კულტურის, ფესტივალების, არქიტექტურის მიხედვით. ჟურნალისტების ჯგუფი ჩამოვა „თბილისობაზეც“, შესაბამისი მასალის მოსაზმადებლად.

8. 2019 წლის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პროექტი, რაც თბილისის ფრომოუშენისათვის ხორციელდება, მიმდინარეობს საერთაშორისო ჟურნალისტების, ფოდქასთერების, ბლოგერების, ინფლუენსერების ვიზიტების მუდმივ რეჟიმში ორგანიზება. წლის ბოლომდე უნდა ჩამოვიდეს 20-მდე ადამიანი, რომლებიც მოამზადებენ თბილისის შესახებ სტატიებს, ბლოგებს, საპრომოციო ვიდეოებს და ა.შ.
9. World Tourism Cities Federation/ WTCF - ისათვის მასალების მომზადება, ჩინური სეგმენტის ათვისებისათვის მიმდინარეობს კონტენტის მომზადება wechat, weibo და სხვადასხვა ჩინურ პლატფორმებზე განსათავსებლად. ასევე, იგეგმება b2b შეხვედრების ორგანიზება თბილისში და ბეიჯინგში ქართული და ჩინური კერძო კომპანიების დასაკავშირებლად.
10. ვებ გვერდი - მიმდინარეობს თბილისის ტურისტული ვებ გვერდის ტენდერისათვის ტექნიკური დავალების მომზადება. - ტენდერი ჩაეშვება უახლოეს პერიოდში
11. Instagram - მიმდინარეობს ინსტაგრამის ფეიჯის ფორმირება თბილისის ტურისტული ფრომოუშენისათვის. გვერდი უახლოეს პერიოდში ჩაეშვება
12. თბილისის ვირტუალური აპლიკაცია - გაეშვა და მიმდინარეობს მუდმივი აფდეითი (Virtual Tbilisi Play Store-ზე და Oculus Store-ზე)
13. Newsletter - მიმდინარეობს მესამე კვარტლის ნიუსლეთერზე მუშაობა, რომელიც ეგზავნებათ ქართულ და საერთაშორისო კომპანიებს, ვინც ჩართულია ტურიზმის სექტორში
14. European Best Destination 2020-ის კონკურსისთვის მზადება, მიმდინარეობს მარკეტინგული კამპანიების დაგეგმვა.
15. წარმომადგენლობა აეროპორტში - მიმდინარეობს განსათავსებელი ობიექტის დიზაინის და სხვა დეტალების დამუშავება, გამოცხადდება ტენდერი

ინვესტიციების მიმართულება

1. სტატისტიკის სამსახურთან ღონისძიება - მემორანდუმისათვის მზადება და განახლებული სტატისტიკა თბილისისათვის
2. თბილისის ზღვის პროექტი - მზადდება მემორანდუმი და ტექნიკური დავალება
3. ინვესტორებისათვის მზარდამჭერი ღონისძიებების დამუშავება - სექტორები: BPO, სამედიცინო სექტორი (კოსმეტიკური ოპერაციები, ფარმაცევტიკა), ტურიზმი, ICT
4. თბილისის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა - იმპლემენტაციის პროცესი
5. GIZ-City Network ღონისძიებების დაგეგმვა 2020-2023 წლისათვის
6. ურბანული პარამეტრების გაზრდის შემთხვევაში ეკონომიკური დასაბუთების შეფასება და რეკომენდაციების გაცემა, მაგ: ვისოლი ჯგუფის ვაჟა-ფშაველას გამზირის სასტუმრო
7. თბილისის მედეგობის სტრატეგიის ეკონომიკური კომპონენტის დამუშავება

8. პოტენციური ინვესტორების პროექტების განხილვა/დამუშავება, მაგ: საერთაშორისო სკოლა დიღომში (ფრანგული ინვესტიცია), Armada Group უძრავი ქონების პროექტი და ა.შ.

ანალიტიკური მიმართულება:

1. თბილისი ციფრებში - თბილისის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მოძიება, დამუშავება, დიზაინში ჩასმა და კატალოგის შექმნა (ელექტრონული ფორმით)
2. ფინანსური ხელმისაწვდომობის კვლევა - ბიზნეს ერთეულების მიერ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კვლევა, არსებული მდგომარეობის ანალიზისა და სამომავლო პოლიტიკის დაგეგმვის მიზნით
3. მემორანდუმის განახლება სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან - ფორმალური მხარისა და ღონისძიების ორგანიზება
4. თბილისის ადმინისტრაციულ საზღაურში არსებული ბიზნეს რეგისტრის მონაცემთა ბაზის გადატანა რუკაზე თბილსერვისთან ერთად

კომისიის სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. საკრებულოს წევრებმა ამომწურავი პასუხები მიიღეს.

ნ.ლაცაბიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ნ.ლაცაბიძე